ა ნ გ ა რ ი შ ი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2025 წელს ჩაატარა 10 სხდომა, სადაც განხილული იქნა 10 საკითხი. ასასევე ჩატარდა 1 საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა. კერძოდ:

14 მარტს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

24 მარტს

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

3 აპრილს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

6 მაისს

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

21 ივლისს:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წლის პირველ და მეორე კვარტლში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

13 აგვისტო

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

5 ნოემბერს:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2025 წლის 19-20 ნოემბერს საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე”

12 დეკემბერს

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

კომისიის სხდომებზე განხილული პროექტები მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები. ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტებთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.